



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 139

ქ. გარდაბანი

29/12/2021

139-06-4-202112291614



გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გიორგი ბერიაშვილისა და მწვრთნელის გიორგი შინჯიკაშვილის დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მეორე ნაწილის, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ნოემბრის N27 დადგენილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენტა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 ივლისის N49 დადგენილებისა და საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის 2021 წლის 23 დეკემბრის N227 წერილისა და საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის 2021 წლის 9 დეკემბრის N709 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა და წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ნოემბრის N27 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის - გიორგი ბერიაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 1400 (ათას ოთხასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენტა დაჯილდოების ხარჯებიდან“ და მწვრთნელის - გიორგი შინჯიკაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით გამოიყოს 280 (ორას ოთხმოცი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენტა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

მუხლი 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს ამ განკარგულებით გათვალისწინებული თანხების დარიცხვა უნაღდო ანგარიშწორებით, სპორტსმენისა და მწვრთნელის პირად საბანკო ანგარიშებზე:

გიორგი ბერიაშვილი – 1400 (ათას ოთხასი) ლარი, 3/5

გიორგი შინჯიკაშვილი – 280 (ორას ოთხმოცი) ლარი, 3/5

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

